პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 64 (3041)

1966 წ. 2 აპრილი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## საინფორმაციო ცნობა

# სკკპ XXIII ყრილობის შესახებ

ყრილობა განაგრძობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვას.

1 აპრილის დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: პ. ა. ნიკოლაევი — სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. გრიშინი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ზ. პ. პუხოვა — ივანოვოს სართავ-საქსოვი ფაბრიკის მქსოველი, მ. ა. შოლოხოვი — მწერალი.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები: ამხანაგები ცოი ენ გენი — კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, იუმჟაგიინ ცედენბალი — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: ვ. ი. ახუნდოვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ი. ვოროტნიკოვი — კოსიორის სახელობის № 1 შახტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი (ლუგანსკის პარტორგანიზაცია), ბ. ოვეზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ ნგუენ თხი ბინს — სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრს, როცა ტრიბუნაზე ავიდა. იგი ყრილობის დელეგატებს მიესალმა სამხრეთ ვიეტნამის ხალხის სახელით, რომელიც გმირულად იბრძვის ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ და წაიკითხა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის, დოქტორ ნგუენ ხიუ თხოს დეპეშა სკკპ XXIII ყრილობისადმი.

გმირ ქალაქ მოსკოვის მუშებისა და ყველა მშრომელის სახელით სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ყრილობის დელეგატმა ი. დ. ბრეჟნევამ — მოსკოვის ალუმინის შენადნობთა ქარხნის მდნობელმა. მან ნგუენ თხი ბინს გადასცა დროშა, რომელზეც გამოსახულია ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

## 1. „ოქროს ფონდის" ფურცლები

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის კალათბურთელთა გუნდების ამასწინანდელი მატჩი საბჭოთა კალათბურთის ისტორიის „ოქროს ფონდში" შევიდა. ასეთია სპეციალისტების, მსაჯებისა და თვით საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთა ერთობლივი აზრი.

თბილისელმა ქალიშვილებმა ეს შეხვედრა 1 ქულის უპირატესობით მოიგეს. ევროპის უძლიერეს საკლუბო გუნდთან მიღწეული გამარჯვება განაპირობა ჩვენი გუნდის კოლექტიურმა თავგანწირვამ, ამიტომ ერთი რომელიმე კალათბურთელის გამოყოფა მატჩის გმირად შეუძლებელია.

და მაინც უნდა ითქვას, რომ ც. ჯანელიძემ თბილისელთა წარმატებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანა. მარტო მისი ბოლო 2 საჯარიმო სროლა რად ღირს, რომელიც გამარჯვების მაუწყებელი აღმოჩნდა.



ს უ რ ა თ ზ ე: ც. ჯანელიძე მეტოქის ფარზე იერიშისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## უკანასკნელი საათი...

◆ **ბოლონია, 1 აპრილი.** აქ მიმდინარეობს ევროპის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ფინალური ტურნირი კონტინენტის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. ეს საპატიო ნადავლი უკვე მიუწვდომელი გახდა სსრ კავშირის ჩემპიონისთვის — ცსკა-სთვის: მან წააგო მილანის „სიმენტალთან" — 57:68. მეორე ფინალისტი გამოვლინდა პრაღის „სლავიისა" და ათენის აეკ-ის მატჩში. გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებმა — 103:73.

◆ **კიევი, 1 აპრილი.** სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ძალოსანთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში ს. ლოპატინმა (ქვესაშუალო წონა) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — აჭიმა 149,5 კგ. წინაღლით თავი ისახელა ვ. კრიშჩიშინმაც (მჩატე წონა): მისი შედეგი აჭიმვაში — 112 კგ — მსოფლიოს ახალი რეკორდია იუნიორთა შორის.

◆ **მარ-დელ-პლატა, 1 აპრილი.** აქ დამთავრებულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში I ადგილი დაიკავა საბჭოთა დიდოსტატმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა, რომელმაც 11 ქულა მოაგროვა.

◆ **მოსკოვი, 1 აპრილი.** მოსკოვისა და ლენინგრადის წყლის ბილიკების ოსტატთა ტრადიციულ მატჩში დღეს მოსკოველმა ვ. მაზანოვმა 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში შესანიშნავი შედეგი — 58,9 — აჩვენა. წუთზე სწრაფად ეს მანძილი ზემოაღნიშნული სტილით მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე სპორტსმენს გაუცურავს.

## მოულოდნელი მარცხი აუტსაიდერთან

**ბაქო, 1 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).** გრძელდება „ა" კლასის II ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები. მეორე კალენდარულ დღეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა დაამარცხეს როსტოვის „სპარტაკი" — 66:54. III ტურში თბილისელები შეხვდნენ ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერს — „პლასტიკასს" და დამარცხდნენ — 57:60.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ნავთობის ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) — „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) 61:60, „სპარტაკი" (მინსკი) — „კანალსტროი" (დონეცკი) 75:66, „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) — „პლასტიკასი" (ვილნიუსი) 78:50, „კანალსტროი" — „სპარტაკი" (როსტოვი) 78:65, „სპარტაკი" (მინსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 98:79, „ლოკომოტივი" — „ბურევესტნიკი" 77:74.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 2 აპრილისთვის

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „ლოკომ". (ალმა-ათა) | 5 | 5 | 0 | 5 |
| ნავთობის ქიმიის ინსტ. | 4 | 3 | 1 | 3 |
| სპი (თბილისი) | 5 | 3 | 2 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (მოსკ.) | 5 | 2 | 3 | 2 |
| „კანალსტროი" (დონეცკი) | 5 | 2 | 3 | 2 |
| „სპარტაკი" (მინსკი) | 5 | 2 | 3 | 2 |
| „პლასტიკასი" (ვილნ.) | 5 | 2 | 3 | 2 |
| „სპარტაკი" (როსტოვი) | 4 | 1 | 3 | 1 |
| „სპარტაკი" (მოსკ. ოლქი) | 4 | 1 | 3 | 1 |

## პრიზები — საუკეთესოებს

სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა XXXIII ჩემპიონატის მონაწილეთათვის მოსკოვის ორგანიზაციების მიერ დაწესებული იყო სპეციალური პრიზები.

პრიზი — „საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელს" — მოიპოვა სმილძინიამ (ტტტ), „ახალგაზრდებს შორის საუკეთესოს" — საპრონოვამ („დინამო", მოსკოვი), „ცალი ხელით სროლების საუკეთესო შემსრულებელს" — ორიოლმა („დინამო", კიევი), „ყველაზე დიდი თავგანწირვისთვის" — მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა", „საჯარიმო სროლების საუკეთესო შემსრულებელს" — კროდერემ (ტტტ), „თამაშიდან ყველაზე უკეთ მსროლელ გუნდს" — ლენინგრადის „ბურევესტნიკმა", „ყველაზე კორექტულ გუნდს" — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (თბილისი), „ყველაზე შედეგიან თავდამსხმელს" — კეებმ („უნივერსიტეტი", ტარტუ).

მოგვყავს ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი.

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ტტტ რიგა | 22 | 19 | 3 | 19 |
| სპი თბილისი | 22 | 17 | 5 | 17 |
| „დინამო" მოსკოვი | 22 | 14 | 8 | 14 |
| „ბურ". ლენინგრადი | 22 | 13 | 9 | 13 |
| „დინამო" კიევი | 22 | 11 | 11 | 11 |
| ასკ ლენინგრადი | 22 | 11 | 11 | 11 |
| „სპარტ." მოსკ. ოლქი | 22 | 10 | 12 | 10 |
| „პოლიტექნ". კაუნასი | 22 | 10 | 12 | 10 |
| „ურალმაში" სვერდ. | 22 | 10 | 12 | 10 |
| „დინამო" ნოვოსიბ. | 22 | 7 | 15 | 7 |
| „უნივერსიტ." ტარტუ | 22 | 6 | 16 | 6 |
| „ბურევესტ". როსტოვი | 22 | 4 | 18 | 4 |

## 3 რეკორდი

**მოსკოვი, 31 მარტი.** მოსკოვისა და ლენინგრადის ტრადიციული მატჩი ცურვასა და წყალში ხტომაში სტარტიდანვე მაღალი შედეგებით აღინიშნა: ასპარეზობის პირველ დღეს მასპინძლებმა დაამყარეს სსრ კავშირის 3 ახალი რეკორდი (25-მეტრიანი აუზებისთვის). აი, მათი ავტორები: ვ. მაზანოვი — 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — 53,1; ვ. მაზანოვი — 200 მეტრზე კომპლექსური ცურვა — 2.12,8; ს. ბელიც-გეიმანი — 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — 4.12,2 (ეს შედეგი მსოფლიოში საუკეთესოა ამ ზომის აუზებისთვის).

## ფეხბურთის მერიდიანებზე

**სარაევო, 31 მარტი.** სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ მორიგი შეხვედრა გამართა იუგოსლავიის ეროვნულ გუნდთან. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც სტუმართა კარში მე-20 წუთზე გაიტანა ვასოვიჩმა. საბჭოთა გუნდში თამაშობდნენ: კავაზაშვილი, გეტმანოვი, აფონინი, ვორონინი, დანილოვი, ჰუსაინოვი, საბო, ჩისლენკო, პონედელნიკი, კოპაევი, მესხი (მალოფეევი).

**ოსიეკი, 31 მარტი.** იუგოსლავიაში სტუმრად მყოფი მოსკოვის „ლოკომოტივი" აქ შეხვდა ადგილობრივ „სლავონიას" და დამარცხდა — 0:2.

**ოდესა, 31 მარტი.** ადგილობრივი „ჩერნომორეცი" ამხანაგურ მატჩში შეხვდა ბულგარეთის ჭაბუკთა ნაკრებს და გაიმარჯვა — 2:1.

**ბელუ-ორიზონტი, 31 მარტი.** ევროპაში საქორწინო მოგზაურობის შემდეგ პელე კვლავ გამოვიდა საფეხბურთო მინდორზე და პირველივე მატჩში გაიტანა „თავისი აუცილებელი გოლი". მაგრამ ამან მის კლუბ „სანტოსს" არ უშველა: იგი აქ დამარცხდა ადგილობრივ „კრუზეიროსთან" — 3:4.

**რიო-დე-ჟანეირო, 31 მარტი.** ბრაზილიის ნაკრების 45 კანდიდატში, რომლებიც მსოფლიოს VIII ჩემპიონატისთვის ემზადებიან, მსოფლიოს VII ჩემპიონატში მონაწილე 7 ფეხბურთელია: მეკარე ჟილმარი, მცველები ჯ. სანტოსი, ბელინი, ორლანდო, ნახევარმცველი ზიტო და თავდამსხმელები გარინჩა და პელე.

## არც ერთი ყაიმი

საქართველოს ვაჟთა XXVII საჭადრაკო ჩემპიონატის XI ტურში, გუშინწინ, მხოლოდ გურგენიძე — ბუსლაევის პარტია დარჩა დაუმთავრებელი. ჯინჯიხაშვილმა მოუგო დავითაშვილს, ბოკუჩავამ — რაზოვსკის, ჩეჩელიანმა — გვენცაძეს, ჩხაიძემ — ალექსანდრიას, უბილავამ — მუკნიაშვილს, ჩიქოვანმა — თოხაძეს, გიორგაძემ — კერნოჟიცკის, ლომაიამ — ჩაგუნავას.

## გუშინ...

**XII ტურში** ჯინჯიხაშვილმა მოუგო გურგენიძეს, ბუსლაევმა — გვენცაძეს, გიორგაძემ — თოხაძეს, ჩიქოვანმა — დავითაშვილს, ალექსანდრიამ — უბილავას, ჩეჩელიანმა — ჩაგუნავას. დანარჩენი პარტიები გადაიდო. 12 ტურის შემდეგ ჯინჯიხაშვილს აქვს 10 ქულა, ბუსლაევს — 9 (1 გადადებული), გიორგაძეს — 8,5 (1 გადადებული), გურგენიძეს — 8 (1 გადადებული).

## 2 : 0

**ქუთაისის** ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ადგილობრივი „ტორპედოსა" და ერევნის „არარატის" ფეხბურთელთა საკონტროლო შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0. პირველი გოლი 35-ე წუთზე გაიტანა ხერხაძემ, ხოლო მეორე — 62-ე წუთზე — ხაჩალიამ. ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრაშიც წარმატება ქუთაისელებს ხვდათ წილად — 2:1.

ლ. ფაჩუაშვილი.

(ტელეფონით).

# პატრიოტულ თაოსნობას ეხმაურებიან

კარგა ხანია, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იბეჭდება წერილები იმის თაობაზე, რომ გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედისა და გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობებმა ფიზკულტურასა და სპორტში დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელება ივალდებულეს. მათ პატრიოტულ თაოსნობას რესპუბლიკის ბევრი რაიონი გამოეხმაურა. რედაქციაში ყოველდღიურად მოდის კორესპონდენციები, რომელთა ნაწილს ქვემოთ ვაქვეყნებთ.

## საჩხერე

საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფლად ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ არსებული სპორტბაზები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სოფლის ახალგაზრდობის მზარდ მოთხოვნებს. გამონაკლისის გარდა (ჩიხა, საჯანე, გორისა, საირხე და ჭალა), რაიონში არც ერთ კოლმეურნეობას არ აქვს რაიმე მარტივი ტიპის ფიზკულტურული მოედანიც კი. კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სპორტს. საქმე იქამდე მიდის, რომ იურიდიულ საწევრო ანარიცხებსაც კი არ იხდიან.

რაიკომის ბიურომ წინადადება მისცა კოლმეურნეობათა გამგეობებს ადგილებზე შეისწავლონ მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მდგომარეობა და მიიღონ ღონისძიებანი ამ საქმის უკეთ დაყენებისთვის. მათვე დაევალათ სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან ერთად მოკლე დროში შეარჩიონ და გამოყონ ადგილები სპორტული მოედნებისთვის.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

## ზუგდიდი

დიდი გამოხმაურება ჰპოვა მახარაძის, გურჯაანისა და გარდაბნის რაიონების მშრომელთა თაოსნობამ. ამას წინათ ჭკადუაშის, კახათის მარქსის სახელობის, რუხის „საქართველოსა" და ცაიშის ი. მეუნარგიას სახელობის კოლმეურნეობებმა პატრიოტული მიმართვის საპასუხოდ, საკუთარი ძალებით ახალი სპორტული ბაზების მოწყობა ივალდებულეს. ინგირისა და ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში აგებენ ღია საცურაო აუზებს, ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მოეწყობა საჭიდაო მოედანი და აშენდება ზამთრის საჭიდაო დარბაზი, ხოლო ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი — ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა როგავა) ივალდებულა წლეულს მოაწყოს დიდი სპორტული ბაზა, რომელსაც ექნება ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები, ფეხბურთის მინდორი და მძლეოსნური სექტორები.

დანარჩენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წელს მოეწყობა ფეხბურთის მინდვრები მძლეოსნური სექტორებით.

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფლად ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების, კომპლექსური სპორტული ბაზებისა და ნაგებობების შექმნის საკითხი. ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობათა გამგეობებსა და საბჭოთა მეურნეობათა დირექტორებს, საწარმოთა ხელმძღვანელებს დაევალათ მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი და რეზერვები, უზრუნველყონ სოფლის ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის დონის ამაღლება.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

# სპორტშიც მოწინავენი

„კოლმეურნის" გურჯაანის რაიონულ საბჭოში (თავმჯდომარე გ. ჯაჯანიძე) შესვლისთანავე თვალში მოგხვდებათ ლამაზად გაფორმებული სტენდები, რეკორდების ცხრილები, შეჯიბრებებში მოპოვებული დიპლომები, თასები, სიგელები. სად იწრთობიან ამ ჯილდოთა და მიღწევათა ავტორები? სად, თუ არა...

### ...სკოლაში

დიახ, ამ რაიონის სკოლებში ბევრი რამ კეთდება ნორჩი თაობის ფიზიკურად გაკაჟებისათვის. ავიღოთ, თუნდაც, სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლა. მისი დირექტორი ი. ბაკაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ჯორჯაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი შ. არუთინაშვილი გატაცებით ჰყვებიან, თუ რა მუშაობას ატარებენ ამ მხრივ, რა გეგმები აქვთ სამერმისოდ.

სკოლაში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს კალათბურთის (ხელმძღვანელობენ ა. კალატოზიშვილი და შ. ღორთლიშვილი), კლასიკური ჭიდაობის, ფრენბურთისა და მძლეოსნობის (შ. არუთინაშვილი), მაგიდის ჩოგბურთის (შ. შავოშვილი), ფეხბურთის (ც. მთიულიშვილი), შაშისა და ჭადრაკის (თ. ლოლაძე) სექციები, რომლებშიც 150 მოსწავლე მეცადინეობს.

სექციებს პედაგოგებთან ერთად მოსწავლეებიც ხელმძღვანელობენ. მათი მუყაითი მუშაობის შედეგია, რომ შარშან თანრიგოსანთა მომზადების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა: მომზადდა 3 პირველთანრიგოსანი (გეგმით გათვალისწინებული იყო 1), 10 მეორეთანრიგოსანი (ნაცვლად 6-ისა) და 31 მესამეთანრიგოსანი (15-ის ნაცვლად).

სკოლის აქტივშია რაიონის მოსწავლეთა შორის მოპოვებული I ადგილები ფეხბურთში, ფრენბურთში (ჭაბუკები), კალათბურთში (ჭაბუკები და გოგონები). ჰყავთ მრავალი ნიჭიერი სპორტსმენი, რომელთა შორის არ შეიძლება არ გამოვყოთ ფრენბურთელები მ. ნიკოლიშვილი, ა. ხართიშვილი, კალათბურთელები ლ. ზარდიაშვილი, თ. თევდორაშვილი და ლ. ცისკარიშვილი.

ფიზაღზრდის მასწავლებელი დიდ იმედებს ამყარებს ნორჩ მძლეოსნებზე ბ. ქაჩლიშვილზე, ნ. ჯაჯანაშვილზე, თ. როსტომაშვილზე, გ. ზარდიაშვილზე და შ. მუსალბიშვილზე. ეს მოსწავლეები, თუ კვლავ ბეჯითად იმეცადინებენ, ახლო მომავალში II თანრიგის ნორმატივს მიწვდებიან, ზოგიერთი მათგანი კი შეიძლება I თანრიგსაც შეეჭიდოს.

მალე სკოლის კეთილმოწყობილ სპორტბაზებს ხელბურთის მოედანიც მიემატება. მოსწავლეებმა გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით მოაწყონ ახალი ბაზა და სექციაც შექმნან.

ახლა კი შევიხედოთ სოფელ ბაკურციხის...

### ...კოლმეურნეობაში

აქაური ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარედ საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს მეზობელი სოფლის (კოლაგის) 8-წლიანი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. რიკაძე. სწორედ მისი დაუცხრომელი საქმიანობის შედეგია, რომ ბაკურციხელმა კოლმეურნე - ფიზკულტურელებმა რაიონული მასშტაბის შეჯიბრებებში დიდ წარმატებას მიაღწიეს: ლელობურთელებმა პირველობა მოიპოვეს, ფრენბურთელმა ვაჟებმა — II ადგილი, მშვილდოსნებმა — III, ფეხბურთელები კი თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ და მხოლოდ იქ დათმეს პოზიციები...

სპორტის სიყვარულმა და ყოველდღიურმა წვრთნამ შარშან კოლექტივს კიდევ ახალი თანრიგოსნები შემატა: მომზადდა 2 პირველთანრიგოსანი, 26 სპორტსმენმა კი II და III თანრიგების ნორმატივები ჩააბარა. ერთი სიტყვით, ბაკურციხელებმა თანრიგოსანთა მომზადების 1965 წლის გეგმა თითქმის ორმაგად შეასრულეს.

ურიგოდ როდი მუშაობენ ფიზკულტურელები მუკუზნის მევენახეობის...

### ...საბჭოთა მეურნეობაში

აქ მარტო შარშან 1.050 მანეთის სპორტინვენტარი შეიძინეს (მეურნეობის დირექტორი ზ. უზუნაშვილი, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე გ. სირბილაშვილი). ხელმძღვანელობის ყურადღებას აქაური სპორტსმენები მუყაითი მუშაობით პასუხობენ. ვეტექიმი, ძალოსანი მ. მაზმიშვილი, მევენახე, ფეხბურთელი მ. სირბილაშვილი, ტრაქტორისტი, მძლეოსანი ვ. მაისურაძე, მეღორეთა ბრიგადირი, მსროლელი გ. მარადიშვილი... აი, მათი უსრულო სია, ვინც ტოლს არავის უდებს შრომასა და სპორტში.

მეურნეობის ფეხბურთელებმა ამ ბოლო ხანს ორი წარმატება იზეიმეს, — რაიონის პირველობაში II ადგილი მოიპოვეს, ხოლო თასის გათამაშებაში გამარჯვებულისათვის დაწესებული პრიზი არავის დაუთმეს, მშვილდოსნები კი რაიონში II ადგილზე გავიდნენ. კოლექტივმა თანრიგოსანთა მომზადების შარშანდელი გეგმა გადაჭარბებით შეასრულა (მათ შორის ორი პირველთანრიგოსანია).

მაგრამ ამ წარმატებათა მიუხედავად, მუკუზნელებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. საქმე ის არის, რომ მძლეოსნობა აქ ძალიან უყვართ, მაგრამ საამისო ბაზები არ გააჩნიათ. გადაწყდა, უახლოეს ხანში საკუთარი ძალებით მძლეოსნური სექტორებიც მოაწყონ.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
გურჯაანის რაიონი.

• • •



სურათზე: ფრენბურთელების წვრთნას ხელმძღვანელობს ფიზაღზრდის მასწავლებელი შ. არუთინაშვილი (დგას ცენტრში).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ჩვენი ჭაბუკები — უძლიერესნი

რსფსრ-ს, საქართველოს, აზერბაიჯანისა და უზბეკეთის ხელბურთელთა მონაწილეობით ფოთში გაიმართა საკავშირო ზონალური პირველობა 1948-49 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა და გოგონათა შორის.

საქართველოს ჭაბუკთა გუნდმა (მწვრთნელი გ. მაჭავარიანი) მოუგო რსფსრ-ს ნაკრებს — 27 : 24, ფრედ ითამაშა აზერბაიჯანისა და უზბეკეთის გუნდებთან (30 : 30 და 31 : 31) და I ადგილი დაიკავა. II ადგილზეა აზერბაიჯანის კოლექტივი.

საქართველოს გოგონები სუსტად გამოვიდნენ. მათ ფრედ (11 : 11) ითამაშეს რსფსრ-ს ნაკრებთან, ხოლო ერთნაირი ანგარიშით (13 : 14) წააგეს აზერბაიჯანისა და უზბეკეთის გუნდებთან. აქ I ადგილი დაიკავეს უზბეკეთის ხელბურთელებმა, ხოლო II — აზერბაიჯანის სპორტსმენებმა.

ზონებში I და II ადგილებზე გასული ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები (სულ 6-6 კოლექტივი) ივლისში მონაწილეობას მიიღებენ დასკვნით ასპარეზობაში, რომელიც ტალინში გაიმართება.

თ. გაჩეჩილაძე.

# კვლავ დიდი ანგარიშით

თბილისის „დინამოს" სტადიონის სათადარიგო მინდორზე გასულ კვირას გაიმართა დედაქალაქის პირველობის მორიგი შეხვედრები რაგბში. ამ დღეს 3 მატჩი მოეწყო და სამივეში აშკარად იგრძნობოდა ძალთა უთანაბრობა. სტუდენტთა გუნდები ამჯერად მონდომებით იბრძოდნენ, მაგრამ ფიზიკური და ტექნიკური მოუმზადებლობის კომპენსაცია ვერ შეძლეს.

„ლოკომოტივისა" და უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრაში სტუდენტების თავგამოდება იმით გამოიხატა, რომ მათ მხოლოდ 9 ქულის მოპოვება მოახერხეს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ—9:34.

ორი გამარჯვება დაისაკუთრეს დინამოელებმა: I კოლექტივმა „მშრალი" ანგარიშით (48:0) მოუგო „ელმავალს", ხოლო II გუნდმა სძლია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნაკრებს — 33 : 3.

ო. ივდოშვილი.



## 2. „ოქროს ფონდის" ფურცლები

შესვენებაზე ჩვენს კალათბურთელებს ბევრი რამ ჰქონდათ სალაპარაკო. გუნდის მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლ. ძეკონსკი თამაშის საერთო მსვლელობით კმაყოფილია, მაგრამ შენიშვნები, ცხადია, მაინც აქვს. მწვრთნელი გულდასმით ესაუბრა სპორტსმენებს იმ ხარვეზებზე, რომელთა გამოსწორება მატჩის მეორე ნახევარში აუცილებელია. ახლა კი თამაშზე თავის მოსაზრებებს კოლეგებს ლ. ქვალიძე უზიარებს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ჩოგბურთში** — ლ. მგალობლიშვილს, პ. აბაშკინს (ორივენი — თბილისის „ბურევესტნიკი"), ნ. რუხაძეს (თბილისის „განთიადი"); **კრივში** — შ. ქველიაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **სახანძრო-გამოყენებით სპორტში** — რ. თოფაძეს (ტყიბულის „კოლმეურნე"), პ. ჩაჩუას (მახარაძის „კოლმეურნე"), ი. უშვერიძეს, მ. მხეიძეს (ორივენი — ბათუმის „დინამო"); **სასტენდო სროლაში** — რ. გეგეშიძეს, კ. ძღენტს, ა. ესაძეს (ყველანი—ქუთაისის „სპარტაკი"); **ტანვარჯიშში** — ნ. შიპილინას, ლ. ჩიტიშვილს (ორივენი — თბილისის „ლოკომოტივი"), მ. მირიანაშვილს (ქუთაისის „ლოკომოტივი"); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ე. ღუდუშაურს, გ. სიმონიშვილს (ორივენი — თბილისის „ლოკომოტივი"); **ძალოსნობაში** — ო. დემუროვს (თბილისის „ბურევესტნიკი").

# „ფრთოსანი" ტურისტები

აჭარის ტურიზმის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ მ. ზერძენიშვილმა „ლელოს" კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— წლეულს აჭარის ტურიზმის საბჭო და საექსკურსიო ბაზა 223 ათასზე მეტ ჩამოსულ და ადგილობრივ ტურისტსა და ექსკურსანტს მოემსახურებიან. უკვე ადგენენ მოგზაურობათა მარშრუტებს, იჯერენ ტრანსპორტის თადარიგს — განზრახულია მოეწყოს შორეული ექსკურსიები თვითმფრინავით.

ახალი ტურისტული სეზონისთვის ფართოდ გაიშლება სამშენებლო და კეთილმოწყობის სამუშაოები. უკვე დაიწყო მწვანე კონცხის ტურისტული ბაზისთვის ახალი ხუთსართულიანი კორპუსის მშენებლობა. იგი 216 კაცს დაიტევს და წლეულსვე გადაეცემა საექსპლოატაციოდ. სახურავზე მოეწყობა „აერარია" — საჰაერო აბაზანების მოედანი.

სამაისოდ დამთავრდება ციხისძირის ტურბაზის ახალი კორპუსი, რომელიც 170 კაცს მოემსახურება. წლეულს საძირკველს ჩაუყრიან მეორე კორპუსსაც, — იგი 226 დამსვენებლისთვისაა გათვალისწინებული.

ტურიზმის აჭარის საოლქო საბჭოს დაკვეთით „საქქალაქმშენის" ბათუმის ფილიალი ამუშავებს 2 რვასართულიანი კომფორტაბელური ტურბაზა-სასტუმროს პროექტს. თვითეული 500 კაცს დაიტევს. ერთი აიგება ბათუმში, მეორე — ქობულეთში.

ახალ ტურბაზა-სასტუმროებს ექნებათ საკუთარი კლუბი კინოდანადგარით, სასადილო და საფოსტო განყოფილება, აგრეთვე, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

„ლელო" ინფორმაცია

მალე ჩაქვისწყლის შესართავთან დაიწყება გამაჯანსაღებელი ბანაკის მშენებლობა. ბანაკი ერთდროულად ორას კაცს მოემსახურება.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).
ბათუმი.

# ჭადრაკის გვირგვინის ბედ-იღბალი

9 აპრილს, როცა მოსკოვის ესტრადის თეატრში საერთაშორისო არბიტრი ა. ოʼკელი გახსნილად გამოაცხადებს მატჩს მსოფლიო პირველობაზე, ჭადრაკის მოყვარულნი მაყურებელთა შორის, ალბათ, თვალს მოკრავენ ექს-ჩემპიონს მ. ბოტვინიკს. 18 წლის მანძილზე იგი პირველად გახდა მაყურებელი: აწონ-დაწონა რა ყველა „ჰო" და „არა", ექს-ჩემპიონმა გადაწყვიტა ხელი აიღოს საჭადრაკო გვირგვინის დაბრუნებაზე.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დიდოსტატი მ. ბოტვინიკი იშვიათად იძლევა ინტერვიუს. „ყველაფერი, რასაც ჭადრაკზე ვფიქრობ, შეგიძლიათ ჩემს პარტიებსა და სტატიებში ნახოთ", — ეუბნება ხოლმე იგი ჟურნალისტებს. მიუხედავად ამისა, წლევანდელი მთავარი საჭადრაკო მოვლენის წინ ჩვენ ბოტვინიკს ტრადიციის დარღვევა ვთხოვეთ. „კარგი, მობრძანდით!", — გვიპასუხა მან...

**● მსოფლიოს პირველობაზე ნათამაშევი შვიდი მატჩი თქვენ ყველაზე მეტ შესაძლებლობას გაძლევთ განსაჯოთ მეტოქეთა პოზიციები ორთაბრძოლის წინ. ვის უკეთესი პოზიცია აქვს: პეტროსიანს თუ სპასკის?**

— თუ მხედველობაში მხოლოდ სპორტულ მხარეს მივიღებთ, მაშინ სპასკი უეჭველად უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება. საქმე ის არის, რომ პრეტენდენტი, საერთოდ, უფრო მეტად ნავარჯიშევია: შესარჩევი შეჯიბრებების განმავლობაში იგი ხომ მსოფლიოს გამოჩენილ მოჭადრაკეებს ეთამაშა! მარტო 8 პრეტენდენტის მატჩებში სპასკის, როგორც ვიცით, ექსტრაკლასის ისეთ დიდოსტატებთან მოუხდა შეხვედრები, როგორიც არიან კერესი, გელერი და ტალი.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მიერ მიღებული წესების შესაბამისად, მსოფლიო ჩემპიონი მოკლებულია ასეთსავე შესაძლებლობას. ეს, უდავოდ, გარკვეულ გავლენას ახდენს მის სპორტულ ფორმაზე. ადრე ასეთი მდგომარეობით მე ვზარალდებოდი, ახლა კი დაზარალდება პეტროსიანი. რასაკვირველია, განვლილ სამ წელიწადში მსოფლიო ჩემპიონს შეეძლო რაიმე ეღონა შანსების გათანაბრებისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ხელიდან გაუშვა ეს შესაძლებლობა. ფაქტიურად, მან დიდოსტატთა მხოლოდ ერთ ტურნირში ითამაშა. მე ვგულისხმობ ლოსანჟელოსს, სადაც 1963 წლის ზაფხულში ერთმანეთს შეხვდა 8 დიდოსტატი.

სამაგიეროდ, თეორიული მომზადების თვალსაზრისით, უპირატესობა, ალბათ, მსოფლიო ჩემპიონის მხარეზე იქნება: პეტროსიანი ვირტუოზულად ფლობს ამგვარი მომზადების მეთოდს. ჩემპიონის სადებიუტო რეპერტუარი, ჩვეულებრივ, ისეა აგებული, რომ იგი დაზღვეულია ყოველგვარი მოულოდნელობისაგან პარტიის დასაწყისში. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სპასკის ჯერჯერობით არ ჰყავს დიდოსტატ-მწვრთნელთა ისეთი გამოცდილი ჯგუფი, როგორც პეტროსიანს.

**● რა შეგიძლიათ თქვათ პეტროსიანსა და სპასკიზე, როგორც მოჭადრაკეებზე?**

— პეტროსიანი და სპასკი თამაშის სტილით შესამჩნევად განსხვავებულნი არიან. პეტროსიანის მთავარი ძალა ის გახლავთ, რომ იგი ვირტუოზულად „აქრობს" მეტოქის საიერიშო შესაძლებლობებს: მსოფლიო ჩემპიონი ფლობს მეტოქის ფიგურების მოქმედების ტრაექტორიის „გამრუდების" გასაოცარ ნიჭს. თვად პეტროსიანი მხოლოდ მაშინ უტევს, როცა თავს უშიშრად გრძნობს.

პეტროსიანის სტილი უფრო იშვიათია, ვიდრე მისი ახალგაზრდა მეტოქისა. სპასკი უფრო ჩვეულებრივად თამაშობს. მისი მსგავსი დიდოსტატი ჭადრაკის ისტორიაში ბევრი ყოფილა. დაფასთან სპასკი ყველაფერს კარგად აკეთებს: ეფექტურად უტევს, თავს ოსტატურად იცავს და გონებამახვილურ მანევრებს ახორციელებს. ხიფათის გრძნობა მასში, ალბათ, ისე ძლიერად არ არის განვითარებული, როგორც პეტროსიანში. მაგრამ სპასკი ყოველივეს კარგად აკეთებს.

**● თქვენი აზრით, როგორ წარიმართება ბრძოლა?**

— მეტოქენი, ალბათ, მოიწადინებენ ერთმანეთს თავს მოახვიონ თამაშის საკუთარი ყაიდა. ვინც ამას უკეთ შეძლებს, გამარჯვების მეტი შანსი ექნება. მე, მაგალითად, მგონია, რომ სპასკი პეტროსიანს აჯობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეძლებს დაფაზე შექმნას მეტად რთული პოზიცია, რომელიც განუწყვეტელ ტაქტიკურ გამოანგარიშებას მოითხოვს. მაშინ პეტროსიანს გამუდმებით მოუხდება ვარიანტების გათვლა და „პროფილაქტიკაზე" საფიქრელი დრო აღარ დარჩება. თუ კი პეტროსიანმა შეძლო ბრძოლის მშვიდ, პოზიციურ, მანევრულ სტილში წარმართვა, მეტოქეთა როლები შეიცვლება: მძიმე სიტუაციაში აქ უკვე სპასკი აღმოჩნდება.

## მ. ბოტვინიკის ინტერვიუ

**● განა ასეთ პოზიციურ სტილში არ მოუგო სპასკიმ ფინალური მატჩი ტალს?**

— პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში სპასკის ამოცანა ახლანდელთან შედარებით უფრო მარტივი გახლდათ: იგი ხედავდა ტალის სუსტ მხარეებს და მოთმინებით ელოდა მათს გამოვლენას. ასეთი ტაქტიკა პეტროსიანთან მატჩში, რასაკვირველია, მას ზიანის მეტს არაფერს მოუტანს.

**● საჭადრაკო სამყარო რამდენადმე შეშფოთებულია იმით, რომ პეტროსიანსა და სპასკის ადრე ნათამაშევი 12 პარტიიდან 11 ყაიმით დაუმთავრებიათ. ალბათ, მატჩშიც ბევრი ყაიმია მოსალოდნელი?**

— ყველაფერია მოსალოდნელი. მატჩში ყაიმებს განსაკუთრებული აზრი არა აქვს. აი, ტურნირი სხვა საქმეა: ყაიმი იქ შესაძლოა ერთდროულად ორივე მეტოქისთვის ხელსაყრელი იყოს.

**● ბევრს მიაჩნია, რომ მატჩში მსოფლიო პირველობაზე პეტროსიანისა და ტალის ბრძოლა უფრო საინტერესო იქნებოდა. თქვენ რას ფიქრობთ?**

— როცა სპასკისთან ტალის მატჩის IX და X პარტიები ვნახე, გავიფიქრე: ახლა ტალმა არ უნდა ითამაშოს მატჩი მსოფლიო პირველობაზე-თქო. 4 წლის მანძილზე, რომელიც ჩვენი მატჩ-რევანშის შემდეგ გავიდა, მისი თამაშის ნაკლოვანი მხარეები უფრო გამოიკვეთა. ალბათ, ამას თავად ტალიც მშვენივრად გრძნობდა, მაგრამ ვერ განერიდა მათ. ტალი ახლა რომ შებრძოლებოდა პეტროსიანს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის, მარცხიც ნაღდი ჰქონდა.

**● მიგაჩნიათ თუ არა, რომ მატჩში ბრძოლა უფრო ძნელია, ვინემ ტურნირში?**

— მატჩში ბრძოლას თავისი სპეციფიკა აქვს. ზოგიერთ მოჭადრაკეს ეადვილება მატჩის თამაში და უფრო უჭირს პირველი პრიზისთვის ბრძოლა ტურნირში. პეტროსიანისთვის, მაგალითად, უფრო იოლია მოაგროვოს მატჩში შესაძლებელ ქულათა ნახევარი, ვიდრე ტურნირში ქულათა ორი მესამედი.

**● ახლა გთხოვთ გვიპასუხოთ კითხვაზე, რომელიც მატჩს არ ეხება: დაგვისახელეთ 10 დიდოსტატი, რომლებიც მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში შევიდოდნენ.**

— პეტროსიანი, სპასკი, ტალი. შემდეგ, ცხადია, კორჩნოი, შტეინი, გელერი, ვეტერანები სმისლოვი, კერესი და, ალბათ, მე. რამდენია უკვე? 9? დაუმატეთ ფიშერი — უცხოეთის უდავოდ უძლიერესი დიდოსტატი. შეიძლება კაცმა იფიქროს ლარსენსა და ივკოვზეც.

**● აქვს კი ფიშერს შანსები გახდეს მსოფლიო ჩემპიონი?**

— ფიდე-მ სწორედ ფიშერის გამო შეცვალა პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი ინდივიდუალური მატჩებით. მისთვის ხელსაყრელი ფორმულით ჩატარებულ მსოფლიო პირველობაში მონაწილეობაზე უარით ფიშერმა გვიჩვენა, რომ იგი ახლა არ არის მზად ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად.

შარშან შემოდგომით კაპაბლანკას მემორიალი ფიშერმა დაამთავრა ისეთი შედეგით, რომლისთვისაც ადრეც მიუღწევია. ტურნირმა დაადასტურა ჩემი აზრი: აშშ-ის ჩემპიონი ვერ ჯობს საუკეთესო საბჭოთა დიდოსტატებს, მაგრამ სიძლიერით მათ არ ჩამოუვარდება.

ფიშერი ჭადრაკის საანგარიშო მანქანაა. მას აქვს ვარიანტების შესანიშნავად გამოთვლის უნარი. მაგრამ „უხერხულად" გრძნობს თავს პოზიციებში, სადაც უნდა მიიღო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც კონკრეტულ გამოანგარიშებაზე არ არის დაფუძნებული. სხვათა შორის, უნარი — შორს, სწრაფად და ზუსტად გამოითვალო ვარიანტები — ადრეულ ასაკში ვითარდება და წლების მატებასთან ერთად თანდათან კნინდება. დარწმუნებული ვარ, თუ ფიშერი 30 წელს ისე მიაღწევს, რომ მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდება, იგი საერთოდ ვერასდროს ველარ მოიხვეჭს ამ წოდებას.

**● გაგვიზიარეთ აზრი იმ მატჩების სისტემაზე, რომელიც ფიდე-მ შემოიღო მსოფლიო ჩემპიონის მეტოქის გამოსავლენად.**

— პირადად მე იგი არ მომწონს. საქმე ის არის, რომ ეს სისტემა შედგება პატარ-პატარა შეჯიბრებებისაგან, რომლებიც უძლიერესის გამოვლენაში მხოლოდ ზრდიან შემთხვევითობის ელემენტს.

უფრო სამართლიანად მიმაჩნია სისტემა, რომელიც ფიდე-მ 1959 წელს მიიღო და, სამწუხაროდ, არც ერთხელ არ გამოუყენებია. ამ სისტემის აზრი ის გახლავთ, რომ ჭადრაკის გვირგვინის ექვსმა პრეტენდენტმა უნდა ითამაშოს ერთმანეთში 4-წრიანი მატჩ-ტურნირი. დიახ, ექვსმა და არა რვამ, როგორც ეს იყო პრეტენდენტთა ტურნირებში იუგოსლავიაში (1959 წ.) და კიურასაოზე (1962 წ.). რვათა მატჩ-ტურნირი მეტად ხანგრძლივი და დამღლელია: თვითეულმა მონაწილემ ხომ 28 პარტია უნდა ითამაშოს!

**● რა აზრისა ხართ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ეივეს მიერ შემოთავაზებულ იდეაზე, რომლის ფორმულა ასეთია: ჭადრაკის გვირგვინის პრეტენდენტი გამოვლინდეს უძლიერესი საბჭოთა დიდოსტატებსა და დანარჩენი მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატის მატჩში?**

— მე მგონია, ამაში არაფერია ჭკვიანური. ამგვარი იდეებით საჭადრაკო სამყაროს დაყოფას ცდილობენ. საჭადრაკო გვირგვინისთვის ბრძოლა ხომ, პირიქით, ამ სამყაროს გაერთიანების მიზანს ემსახურება! მოჭადრაკეები ეროვნული ნიშნით კი არ უნდა „ლახარიახდნენ", არამედ [illegible] მაშის ძალით.

**● ბოლო კითხვა: რა საჭადრაკო გეგმები გაქვთ?**

— სექტემბერში იქნებ მონაწილეობა მივიღო 16 დიდოსტატის ტურნირში, რომელიც ბუენოს-აირესში გაიმართება. შემდეგ გამოვალ სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში, ხოლო წლის დამლევს გავემგზავრები ჰასტინგსს, საშობაო ტურნირში სათამაშოდ.

ი. ზარუბინი,
საერთაშორისო არბიტრი.
ი. კარჟავინი.



## ვ. „ოქროს ფონდის" ფურცლები

განახლდა ბრძოლა — საინტერესო, ამაღელვებელი მატჩის ბოლო 20 წუთი. თბილისელებმა მეტოქის ფარის გადამწყვეტი იერიში წამოიწყეს, მაგრამ განა იოლი საქმეა იმ დაცვითი ზღუდეების გარღვევა, სადაც ს. სმილძინია და ს. კროდერე აღმართულან?! თუმცა ტანმორჩილ, ვერცხლისწყალივით მოძრავ გ. გრიგორიანს ოდნავადაც არ აშინებს ეს ამბავი. იგი გაბედულ გამოწვევას უცხადებს „გოლიათებს".

სურათზე: ამ „უთანასწორო" ბრძოლის ერთი ეპიზოდი, რომელშიც გამარჯვებული თბილისელი კალათბურთელი გამოვიდა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ფავორიტთა გასაჭირი

კაუნასი, 1 აპრილი. რიგის ტურის დამთავრების შემდეგ აქ დაიწყო ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები, რომლებშიც მონაწილეობენ „ა" კლასის ქალთა და ვაჟთა დანარჩენი გუნდები. შეჯიბრების პირველივე დღემ გასაჭირში ჩააგდო ვაჟთა კოლექტივების ფავორიტები: ზაპოროჟიეს „ალუმინსტროიმ" ქულა დაკარგა კიევის არმიელებთან მატჩში (14:14), ხოლო კაუნასის „ჟალგირისმა" — ბაქოს დინამოელებთან თამაშში (18:18).

სსრ კავშირის ჩემპიონმა, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ვაჟთა გუნდმა ძლივს მოუგო თანაქალაქელ სპარტაკელებს — 19:18.

მეორე დღეს ჩემპიონებმა წააგეს „ჟალგირისთან" (17:18), ხოლო ზაპოროჟიელებისა და ბაქოელების მატჩი დამთავრდა ფრედ — 12:12.

მოსკოვის „სპარტაკმა" მოუგო კიევის ასკ-ს — 21:18.

# კომენტარიებს არ საჭიროებს...

დასასრულს უახლოვდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. ფინალური ტურნირის მონაწილე 4 გუნდი („სიმენტალი", „სლავია", ცსკა და აეკ-ი) ბოლონიაში უკვე ჩაება გადამწყვეტ ბრძოლაში.

აი, როგორ დაამთავრეს გუნდებმა ნახევარფინალური ტურნირები.

ნახევარფინალური ტურნირების საბოლოო ცხრილი

„ა" ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სიმენტალი" (იტალია) | 3 | 2 | 1 | 503:476+27 | 5 |
| „სლავია" (ჩეხოსლოვაკია) | 3 | 2 | 1 | 490:486+4 | 5 |
| „რეალი" (ესპანეთი) | 3 | 1 | 2 | 494:508—14 | 4 |
| „რეხინგი" (ბელგია) | 3 | 1 | 2 | 553:570—17 | 4 |

„ბ" ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა (სსრ კავშირი) | 3 | 2 | 1 | 453:397+56 | 5 |
| აეკ (საბერძნეთი) | 3 | 2 | 1 | 413:426—13 | 5 |
| „ჩერვენო ზნამია" (ბულგარეთი) | 3 | 2 | 1 | 413:416—3 | 5 |
| „ზადარი" (იუგოსლავია) | 3 | 0 | 3 | 478:525—47 | 3 |

მიაქციეთ ყურადღება „ბ" ჯგუფის ცხრილს. სსრ კავშირის ჩემპიონმა ფინალში მონაწილეობის უფლებას კანონის ძალით მიაღწია. მართალია, მას იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც საბერძნეთისა და ბულგარეთის ჩემპიონებს, მაგრამ ცსკა-მ I ადგილი ბურთების უკეთესი ბალანსით გაინაღდა.

ობიექტური მონაცემებით, სატურნირო ცხრილში II ადგილზე უნდა იყოს „ჩერვენო ზნამია". ჯერ ერთი, მას მთელი ტურნირი ბურთების უკეთესი სხვაობით აქვს დამთავრებული. უკეთესი მდგომარეობა აქვს მას თავის მეტოქეს სამ გუნდს შორის შეფარდებაშიც. და მაინც, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ უპირატესობა მიანიჭა საბერძნეთის ჩემპიონს, რომელმაც მიიღო კიდეც ბოლონიის საგზური.

რა მოხდა? რატომ გამოიტანა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ასეთი გადაწყვეტილება? გაუგებარია! იქნებ, ბულგარეთის ჩემპიონი იმიტომ დაისაჯა, რომ მას II ტურში იუგოსლავიის „ზადართან" რეგლამენტით გათვალისწინებული 2 მატჩის ნაცვლად სამის ჩატარება მოუხდა? (საქმე ისაა, რომ ბულგარეთის ჩემპიონმა „ზადართან" პირველი მატჩი წააგო — 53:79, ხოლო მატჩ-რევანში თავის მოედანზე ასეთივე ანგარიშით მოიგო. დაინიშნა III, დამატებითი მატჩი. იგი ჩატარდა „ჩერვენო ზნამიას" მოედანზე და ბულგარელთა გამარჯვებით დამთავრდა — 80:73).

თუ მართლაც ეს გახლავთ ფილა-ს უცნაური გადაწყვეტილების მიზეზი, პირდაპირ უნდა ვთქვათ, — იგი უკანონოა. მით უმეტეს, რომ თასის გათამაშების დებულებაში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი.

შექმნილი მდგომარეობის გამო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციას შეკითხვით მიმართა ამავე ფედერაციის ერთ-ერთი კომისიის წევრმა, დოქტორმა ბ. ტაკევმა (ბულგარეთი). კერძოდ, მას აინტერესებდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის რეგლამენტი. ფედერაციის პასუხში ნათქვამი იყო, რომ რეგლამენტი ძველებურია და რომ არაფერი ახალი მითითება ამის თაობაზე არ არსებობს.

მაშ რატომ წაართვეს ბულგარეთს ფინალურ ტურნირში მონაწილეობის კანონიერი უფლება?

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ნახევარფინალური ტურნირის II ეტაპის დამთავრების შემდეგ მსოფლიოს პრესისა და რადიოს თითქმის ყველა დიდმა სააგენტომ გადასცა ცნობა, რომ „ჩერვენო ზნამიას" ფინალში მონაწილეობა განაღდებული აქვს (ბულგარეთის ჩემპიონს იმ დროისთვის ორივე მატჩი მოგებული ჰქონდა: ცსკა-სთანაც და „ზადართანაც").

როგორც იტყვიან, ფაქტი კომენტარიებს არ საჭიროებს...



